პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

23 დეკემბერი კვირა 1973

ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან • № 298 (15815)

## ხუთწლედი — ვადამდე!

### მესამე გადამწყვეტი წელი მთავრდება...

აკეთებთ თუ არა ყოველივეს იმისათვის, რომ პირნათლად შეასრულოთ გეგმაც და ვალდებულებაც? ხელდამშვენებული ხვდებით თუ არა მომავალ, 1974 წელს?

### უკანასკნელი წლის ანგარიშში

თბილისის წინდის ფაბრიკა „კრწანისის“ კოლექტივმა უველა მაჩვენებლებით გადაკაპანებით შეასრულა თერმეტი თვის გეგმა. იგი ხუთწლედის მესამე წლის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის იბრძვის. კოლექტივმა ვალდებულება იკისრა გეგმა 28 დეკემბრისათვის შეასრულოს.

ფაბრიკაში ბევრი მუშაა, რომლებმაც წლიური დავალება უკვე შეასრულეს. საწარმოს მრავალი მოწინავე ხუთწლედის მეხუთე წლის ანგარიშში შრომობს. ისინი თავიანთ შრომითს გამოცდილებას ახალგაზრდებს გადასცემენ.

სურათზე: მოწინავე მჭედელი იულია ფილიმონოვი, რომელიც ხუთწლედის დამამთავრებელი წლის ანგარიშში შრომობს.

ფ. ბრმსკის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

# ჩვენი მოქმედების, ბრძოლის პროგრამა

დეკემბერი ჯერ არ დამთავრებულა — მეცხრე ხუთწლედის გადამწყვეტი წლის ეს უკანასკნელი თვე... ჩვენი პარტია, მთელი ხალხი კი იმის თვალიერვნი არიან, რომ მომავალ, 1974 წელს შეეგებინონ ღირსად მოფიქრებული სამოქმედო პროგრამით. კონკრეტული გეგმებითა და საქმეებით. საკირო ა ახლავე ნათლად გამოიკვეთოს თვითეული კომუნისტის, თვითეული მშრომელის როლი და ადგილი XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა, მეცხრე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის ბრძოლის ახალ ეტაპზე.

დიახ, მომავალი, 1974 წელი ჭეშმარიტად ახალი შძლავრი ეტაპი იქნება პარტიის წინასწარდასახულობათა განხორციელების გზაზე. სწორედ ამ წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის გადაკეთებით შესრულება დიდ როლს შეასრულებს მთლიანად ხუთწლედის წარმატებით დაგვირგვინებაში, შექმნის სასურველ პირობებს ქვეყნის ეკონომიური პოტენციალის შემდგომი ზრდისათვის, ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებისა და კულტურული დონის ამაღლებისათვის.

აი რატომ იყო, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, რომელიც ამ რამდენიმე დღის წინათ გაიმართა, უდიდესი ყურადღებით განიხილა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1974 წლის სახელმწიფო გეგმისა და სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტები. პლენუმზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ღრმაშინაარსიან, ნათელ და მკაფიო გამოსვლაში მოცემულია მომდინარე წლის ჩვენი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების, კომუნისტების, მთელი საბჭოთა ხალხის შემოქმედებითი შრომის საფუძვლიანი და ყოველმხრივი დახასიათება, წამოყენებულია მომავალი საქმიანობის სახელმძღვანელო წინადადებანი.

როგორი უნდა იყოს საქართველოს კომუნისტების, ყველა შრომელის წვლილი ქვეყნის სახალხო-სამეურნეო გეგმის შესრულებაში? რა გვიჭვენა ხუთწლედის გადამწყვეტმა წელმა? — ამ და კიდევ ბევრ სხვა აქტუალურ საკითხებს მეტად ნათელი პასუხი გასცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ამ დღეებში გამართულმა პლენუმმა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიამ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმისა და რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სესიის მონაწილეებმა ერთსულოვნად მოიწონეს ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1973 წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი, ამ პლენუმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვაში მოცემული დასკვნები და დებულებანი ხუთწლედის მეოთხე წლის სახელმწიფო გეგმის განხორციელებისათვის. მათ უდიდესი ქმაყოფილებით აღნიშნეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტისა და პრაქტიკულ ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მრავალმხრივი მოღვაწეობა პარტიის XXIV ყრილობის მიერ წამოყენებული მშვიდობის პროგრამის განსახორციელებლად, განაცხადეს, რომ ჩვენი პარტიის საგარეოპოლიტიკური კურსი წარგებლობს პლანეტის მშვიდობისმოყვარე ძალების, მთელი პროგრესული კაცობრიობის აღიარებითა და მხარდაჭერით.

მეტად დიდი და პასუხსაგებია ახალი წლის ამოცანები. ჯერ ერთი, ის, რაც მომდინარე წელს მოვიპოვეთ, უნდა განვამტკიცოთ და განვავითაროთ. მეორე — 1974 წლის გეგმა ხომ უფრო მაღალ მაჩვენებლებს შეიცავს! ამიტომაც ძალლონე უნდა დავდაბოთ, როგორც იტყვიან, ხელები დავიკაპიწოთ, რომ გადავაჭარბოთ ამ გეგმის მიჯნებს. ყოველივე ამით კი გავაკეთებთ ხუთწლედის დამამთავრებელი წლის ამოცანათა შესრულებას.

როცა ახალ გზებს ვეძებთ და ვსაბავთ, როცა ვადგენთ მომავლისათვის მოქმედების საბრძოლო პროგრამას, პირველ რიგში თვალს გადავავლებთ ხოლმე იმ გზას, რომლითაც უკვე ვიარეთ, ან სადაცაა უკან უნდა მოვიტოვოთ. ეს გზა ბევრისმეტყველი ხუთწლედის გადამწყვეტი წლის ამოცანების შესრულებისათვის ბრძოლის გზაა. 1973 წელი ჩვენი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების პასუხსაგები გამოცდა.

როგორც ეს პლენუმსა და სესიაზე ითქვა, საქართველოს სამრეწველო საწარმოებმა შეასრულეს 1973 წლის დაძაბული გეგმა და ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი. მრავალი წლის მანძილზე პირველად იქნა მიღწეული დადებითი შედეგები საბინაო მშენებლობაში. საექსპლოატაციოდ გადაეცა 760 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, რაც შარშანდელზე 38 პროცენტით მეტია.

იმარჯვეს სოფლის მეურნეობის მშრომელებმაც. მეჩაიეებმა რეკორდული მოსავალი აიღეს — მოკრიფეს 290 ათასი ტონა ჩაის ფოთოლი. ამით მათ გადაკაჭარხეს ხუთწლედის უკანასკნელი წლისათვის დაგეგმილ დონეს. მხვნელ-მთესველებმა გეგმით გათვალისწინებული 99 ათასი ტონის ნაცვლად სახელმწიფოს ბელელში მიიტანეს 161 ათასი ტონა მარცვლეული. ვადამდე შესრულდა სახელმწიფოსათვის ხორცის, რძის, მატლის მიყიდვის წლიური გეგმები. დადებითი ცვლილებანი მშრომელთა იდეურ ცხოვრებაში, მათს მორალურ-პოლიტიკურ განწყობილებაში.

მაგრამ ყოველივე ამის თქმა როდია მთავარი. თვით ის, რომ ჩვენი რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციები, მშრომელები უკანასკნელ ხანს შეეჩვევნენ მსჯელობას უმთავრესად გადაუჭრელ პრობლემებზე, არსებულ ნაკლზე და მისი გამოსწორების გზებზე, ესეც განვლილი ამ ერთი წლის მიღწევაა, ამ წლის კეთილი ნაყოფია.

მართლაც და, ჯერ კიდევ მრავალ გადაუჭრელ საკითხს, მოუგვარებელსა თუ გაუკეთებელს, ნაკლსა თუ დანაშაულს უნდა მივხედოთ, მათზე უნდა ვთქვათ და ვიმოქმედოთ კიდეც იმისათვის, რომ დროზე აღვკვეთოთ, რომ შემდგომში უფრო სუფთა, გაწმენდილი გზით ვიაროთ.

რატომ ვერ შესრულდა უკვე თითქმის განვლილ ხან წელიწადში ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული მთელი რიგი დავალებანი? რატომ არის, რომ ჯერ კიდევ ზოგიერთი საწარმო, კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა წინსვლის მაგიერ ჩამორჩა, ან ერთ ადგილს ტკეპნის?

მომდინარე წელს რესპუბლიკის ხამრეწველო საწარმოთა საერთო რაოდენობის 10,8 პროცენტმა, ანუ 118 საწარმომ ვერ შეასრულა პროდუქციის რეალიზაციის გეგმა. 11 თვეში მათ სახელმწიფოს დააკლეს 28 მილიონ მანეთამდე ღირებულების პროდუქცია. განსაკუთრებით ბევრია ასეთი საწარმოები' საშენ მასალათა მრეწველობის, მშენებლობის, ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროების ხაზით. არ შესრულებულა ყურძნის მოსავლიანობის გეგმები: 300 ათასი ტონის ნაცვლად დაშაზდებულია 227 ათასი ტონა ყურძენი.

ასამუშაებელ ობიექტებზე სახსრებისა და ძალების არაგონივრული ორგანიზაციისა და გამოყენების გამო სიმძლავრეების საექსპლოატაციოდ გადაცემის 11 თვის გეგმა ვერ შესრულდა. სისტემატურად ირღვევა სკოლამდელი ასაკის ბავშვთა დაწესებულებების, საავადმყოფოების, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების მშენებლობათა ვადები. ჯერ კიდევ მოუქნელად, სუსტად, არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ მოსახლეობის მომსახურების სფეროს — ვაჭრობის, საყოფაცხოვრებო მომსახურების და ჯანმრთელობის დაცვის მუშაკები.

ყოველივე ეს და კიდევ მთელი რიგი სხვა ნაკლოვანებანი, დარღვევები, შეცდომები თუ დამაბინძურებანი, რომლებზეც პლენუმისა და სესიის მონაწილეებმა გულისტკივილით, მაგრამ პირუთვნელად ილაპარაკეს, იმის შედეგია, რომ ბევრგან, ჩვენი შრომის, ყოფაცხოვრების ბევრ უბანზე ვერ დავძლიეთ ინერციის ძალა, რომ ადგილებზე პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოები, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები ღრმად ვერ სწვდებიან ცხოვრების მომწიფებულ პრობლემებს, ვერ სრულყოფენ ეკონომიკისაში ხელმძღვანელობის მექანიზმს პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე, რომ ბევრგან ვერ ავლენენ და კონკრეტულად ვერ იყენებენ უამრავ რეზერვებს.

უნდა გავაუმჯობესოთ დაგეგმვა, აღვკვეთოთ საგეგმო დისციპლინის დარღვევები, მოწყობილობის, ნედლეულის, ლითონის, სხვადასხვა მასალების მიწოდების გეგმების შეუთანხმებლობის ფაქტები. საჭიროა უფრო ყაირათიანად ვხარჯოთ სახალხო ფული, ეხები ეს სპარეოქტო საქმეს თუ მშენებლობას. გადაჭრით უნდა ავამაღლოთ სამეურნეო ხელმძღვანელობის დონე, გავზარდოთ ჩვენი კადრების პასუხისმგებლობა.

და როცა სახალხო მეურნეობის მთელ რიგ დარგებში არსებულ სერიოზულ ჩავარდნებსა და ნაკლოვანებებზე ვლაპარაკობთ, შეურიგებელი ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ საწარმოთა და მეურნეობათა, თვით სამინისტროთა და უწყებათა იმ მავნე ტენდენციებს, როგორიც არის მოსწრაფება, რომ კორექტირება გაუკეთონ გეგმებს მათი შემცირებისაკენ. ბეგრმა ეს სისტემადაც კი აქცია, სარგებლობდა რა უკონტროლობითა და გულდამშვიდებით.

განა ნორმალურად შეიძლება ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ მარტო შარშან ჩვენს რესპუბლიკაში განლაგებულმა საკავშირო და რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებმა 150 მილიონ მანეთამდე შეამცირეს პროდუქცია?! გატარებული ღონისძიებების მიუხედავად წელსაც არის მსგავსი ფაქტები.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1974 წლის გეგმა ითვალისწინებს მრეწველობის, სოფლის მეურნეობის და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების განვითარების ტემპის დაჩქარებას, ავტონომიური რესპუბლიკების, ოლქის, ქალაქებისა და რაიონების ეკონომიკისა და კულტურის დონის შემდგომ ამაღლებას. მიზნად არის დასახული, რომ ეროვნული შემოსავალი 1973 წლის მოსალოდნელ დონესთან შედარებით 7,8 პროცენტით გაიზარდოს. ერთი სიტყვით, ამოცანები დიდი და პასუხსაგებია, ხოლო მათი წარმატებით გადაწყვეტა დამოკიდებულია თვითეული ჩვენგანის, მონდომებისა და ენერგიაზე, ჩვენს ინიციატივასა და შემართებაზე, პატრიოტულ შეგნებასა და მოქალაქეობრივ სინდისზე.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ კიდევ უფრო სრულყოფილ მეურნეობის მართვის მეთოდები, ყოველი ღონისძიებით დავაჩქაროთ ტექნიკური პროგრესი, გამოვნახოთ წარმოებისა და მეცნიერების ურთიერთდაახლოების, მათი კავშირის განმტკიცების ეფექტური გზები, გავაძლიეროთ ეკონომიური სტიმულები.

დღეს, ვიდრე ოდესმე, დიდი მნიშვნელობა ენიჭება სოციალისტური შეჯიბრების — მასების ამ ცოცხალი შემოქმედების — კონივრულად მოწყობას, მის სწორ ორგანიზაციას, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დავუთმოთ შეჯიბრების ისეთ მაღალ ფორმას, როგორიც არის შემხვედრი გეგმები, დავამკვიდროთ შრომისადმი, სოციალისტური საკუთრებისადმი კომუნისტური დამოკიდებულება, განვამტკიცოთ დისციპლინა.

პირველადი პარტიული ორგანიზაციების, რაიონული, საქალაქო, საოლქო პარტიული კომიტეტების უმთავრესი საზრუნავია ერთი წუთითაც არ შეანელონ მთელი პრინციპულობით დაწყებული ბრძოლა ჩვენი საზოგადოების ისეთი მახინჯი მოვლენების წინააღმდეგ, როგორიც არის მექრთამეობა, მომხვეჭელობა, გამომძალვა, სახალხო დოვლათის გაფლანგვა-დატაცება.

გადაჭრით უნდა გაუმჯობესონ თავიანთი მუშაობა რესპუბლიკის ადმინისტრაციულმა ორგანოებმა — მოსახლეობის, პროკურატურამ, სახამართლომ. მკაცრი კონტროლი უნდა დამყარდეს მასალების მომგირნეობით ხარჯვაზე, უნდა აღიკვეთოს ნედლეულისა და რესურსების დატაცებანი და განიავების დღემდე არსებული ფაქტები. ამ მხრივ თავიანთი სიტყვა უფრო გაბედულად უნდა თქვან სახალხო კონტროლის ორგანოებმა.

უველა საქმეში კი, წარმოება იქნება ეს თუ ყოფაცხოვრება, მთავარი ამოცანაა ადამიანთა, კადრების პერსონალური პასუხისმგებლობის ამაღლება. მტკიცედ უნდა დავნერგოთ სამეურნეო საქმიანობის ყველა უბანზე პარტიული სტილი, საკითხებისადმი ნამდვილი პარტიული მიდგომა. სასტიკი ბრძოლა გამოვუცხადოთ ბიუროკრატიზმსა და საქმის გაჭიანურებას, უწყებრივი და კუთხური ინტერესებისათვის საერთო-სახელმწიფოებრივი, საერთო-სახალხო ინტერესებს უგულებელყოფას, დახვავებულობასა და რუტინას, ფორმალიზმსა და უპასუხისმგებლობას.

მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად საქართველოს მშრომელები დიდი იმედებითა და მტკიცე რწმენით მოელიან ახალ, 1974 წელს. იმ დიდ შემოქმედებითს მუშაობაში, რაც მომავალ წელს უნდა გავწიოთ, უტყუარი კომპასივით გვექნება დეკემბრის პლენუმებისა და სესიების გადაწყვეტილებანი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე წარმოთქმული ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის სიტყვა.

დეკემბერი-ბოლოდ დეკემბერული შეტევით!

საგაკვრეჯოელ მექანიზატორთა თაობნობა

# თქვეს, ასრულებენ

ხორცისეულდბა საგარეჯოს რაიონის მექანიზატორთა პატრიოტული თაოსნობა — ყოველმხრივ მომზადებული შეხვდნენ ხუთწლედის მეოთხე წლის გაზაფხულს და ორგანიზებულად მოაწყონ მინდვრის სამუშაოები. გაზაფხულისათვის მანქანების მომზადებაში დიდი წილი „საქსოფლტექნიკის“ ადგილობრივ განყოფილებაზე მოდის. მის შეწყობილ, რიგრულ მუშაობაზე ბევრადაა დამოკიდებული სარემონტო სახელოსნოთა ნაყოფიერება.

განყოფილების კოლექტივმა იკისრა გადიდებული სოციალისტური ვალდებულებანი და წარმატებით ასრულებს მათ. „დტ-75“, „ბელორუსის“, „ტ-25“, „დტ-20“ და „ს-100“ ტრაქტორების რემონტი შესრულებულია ვადამდე. 10 დეკემბრისათვის შეკეთებულია 133 ტრაქტორი, 48 კომბაინი, 46 ავტომობილი, 300 ავტომანქანის ძრავა. სოფლების პატარმეულის, ეკაბეთის, ნინოწმინდის კოლმეურნეობებმა და ივრის და საგარეჯოს საბჭოთა მეურნეობებმა უკვე შეაკეთეს მანქანები.

კარგად მიდის მექანიზებული რაზმის საქმეებიც. „საშემოდგომო ხვნის გეგმა შესრულებულია 138 პროცენტით. განსაკუთრებით ისაზღვრა თავი შემაკეთებლებმა. მათ შორის კომუნისტებმა — ხარატმა ვ. ხატიაშვილმა, მჭედელმა და შემდეგებელმა გ. ქვრივიშვილმა და მისმა ვაჟმა ბიკენტიმ, ტრაქტორისტმა რ. თაველიშვილმა.

— ჩვენი წარმატებების საწინდარია, — თქვა ხარატმა ვ. ხატიაშვილმა, — ზუსტად აწყობილი შრომა, მტკიცე დისციპლინა. სამუშაო ადგილი მუდამ სანიმუშო მდგომარეობაში მაქვს, შევიმუშავე მუშაობის გრაფიკი, ვცდილობ, რაც შეიძლება რაციონალურად გამოვიყენო დრო. ტყუილად არ დავკარგავ არც ერთი წუთი. ჩარხზე შეიძლებოდა მხოლოდ ერთი ლილვის ღარვა. ამიტომ დავდგი სპეციალური სამარჯვი, რომელიც უზრუნველყოფს ერთდროულად ოთხი ლილვის ღარვას. ამან საშუალება მომცა სწრაფად შემესრულებინა დავალება.

1974 წელი, ხუთწლედის მეოთხე წელი კარს მოგვდგომია. იგი ყოველმხრივ დამკვიდრებული უნდა გადაეს: როგორც გაზაფხულისათვის ტექნიკის მომზადებით, ისე სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების სანიმუშოდ მოწყობით, ხოლო, რაც მთავარია, უნდა იყოს უხვმოსავლიანი. ამას ეხვრაფვიან საგარეჯოს რაიონის მექანიზატორები, სოფლის ყველა მშრომელი. (საქინფორმი).

## ტექნიკა — საგაზაფხულოდ!

# გეგმა—გადამეტებით

მცხეთა. („კომუნისტის“ კორ.). საგარეჯოელთა თაოსნობას „საქსოფლტექნიკის“ მცხეთის რაიონული განყოფილების მექანიზატორებიც გამოეხმაურნენ, ჩაებნენ სოციშეჯიბრებაში და წარმატებებს აღწევენ. განყოფილებამ გადამეტებით შეასრულა მომდინარე წლის გეგმა, ნაცვლად 485 ათასი მანეთისა შესრულებულია 520 ათასი მანეთის სამუშაოები. სატრაქტორო სამუშაოებმა წლიური გეგმა შესრულებულია 103 პროცენტით, სარემონტო სამუშაოებისა 101,3 პროცენტით, მეცხოველეობის ფერმების მექანიზაციისა — 100 პროცენტით, სატრანსპორტო სამუშაოებისა — 115,2 პროცენტით, ავტომანქანების ტექნიკური მომსახურებისა — 110 პროცენტით, ტრაქტორებისა — 126 პროცენტით, ტრაქტორების შეკეთებისა — 101,3 პროცენტით, კომბაინებისა — 105,5 პროცენტით.

„აშხაზსოფლტექნიკის“ გულრიფშის რაიონული განყოფილების სარემონტო სახელოსნოებიდან მომდინარე წლის 10 თვის განმავლობაში 70 მუხლუხა და ბორბლიანი ტრაქტორი გამოვიდა, რომლებიც კაპიტალურადაა შეკეთებული და ისევ მზად არის მეურნეობის მინდვრებში სამუშაოდ.

წლის ბოლომდე კიდევ 13 ავტოგადატი შეკეთდება. სახელოსნოებში გამოირჩევიან ოსტატები ბორის ნაპრასნიკოვი და ვანო ქადარია, რომლებიც ამ სურათზე ტრაქტორის ძრავის შეკეთების დროს არიან აღბეჭდილნი.

ფ. ჰუხრენელიძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

# სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დელეგაცია მოგზაურობს ჩვენს ქვეყანაში

20 დეკემბერს მოსკოვში ხელი მოაწერეს შეთანხმებას იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირი ეკონომიურ დახმარებას გაუწევს სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკას.

ამ შეთანხმების შესაბამისად საბჭოთა კავშირი სამხრეთ ვიეტნამის

□

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის მოწვევით საბჭოთა კავშირში ოფიციალური მეგობრული ვიზიტით მყოფი სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის თავმჯდომარე, სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობის საკონსულტაციო საბჭოს თავმჯდომარე დოქტორი ნგუენ ჰიუ თხო, 21 დეკემბერს მოსკოვიდან ერევანში გაემგზავრა.

სტუმრებთან ერთად ერევანში გაემგზავრნენ სსრ კავშირის უმაღლესი რესპუბლიკას მიაწვდის მანქანებსა და მოწყობილობას, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას, ნავთობპროდუქტებს, სასუქებს, შავ და ფერად ლითონებს, მედიკამენტებს, სურსათსა და სხვა საქონელს. (საკადრი).

□

საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ნ. ნ. არუთინიანი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს განყოფილების გამგე ს. ს. ნემჩინა.

ვნუკოვის აეროდრომზე, რომელიც მორთული იყო სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით, დელეგაცია გააცილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ნ. ვ. პოდგორნიმ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ბ. ნ. პონომარიოვმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ვ. ნ. ნოვიკოვმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარემ ა. ა. შიტიკოვმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ნ. ვ. ფირიუბინმა და სხვა ოფიციალურმა პირებმა.

საფრენ მოედანზე ჩამწკრივებული იყო სამი გვარეობის შეიარაღებული ძალების — ქვეითების, მფრინავებისა და მეზღვაურების საპატიო ყარაული. შესრულებულ იქნა ორი ქვეყნის სახელმწიფო ჰიმნები.

ნ. ვ. პოდგორნიმ და ნგუენ ჰიუ თხომ ჩამოუარეს საბჭოთა მეომრების მწყობრს. საპატიო სტუმრს გულთბილად და გულითადად მიესალმნენ გახაციელებლად მოსული მოსკოველ მშრომელთა წარმომადგენლები, ვიეტნამელი სტუდენტები, რომლებიც მოსკოვში სწავლობენ.

„სოიუზ-13“:

# ფრენა გრძელდება

ფრუნზის მარშალის ცენტრი, 22 დეკემბერი. (საკადრი). „სოიუზ-13“ კოსმოსური ხომალდის ფრენის მეოთხე დღე-ღამის დროს სპეკტროგრაფის საშუალებით იღებდნენ დედამიწის ზედაპირზე დამახასიათებელ ბუნებრივ წარმონაქნებს, აგრეთვე მის დღის ჰორიზონტს.

„ორიონ-2“ ტელესკოპების სისტემის დახმარებით ასტროფიზიკური კვლევის პროგრამის შესაბამისად პეტრე კლიმუკმა და ვალენტინ ლებედევმა დედამიწის 52-ე და 53-ე გაბმეთის დროს განაგრძეს სხვადასხვა თანავარსკვლავეედის ვარსკვლავების სპექტროგრაფირება.

ხომალდიდან მოწყობილი ერთ-ერთი სატელევიზიო რეპორტაჟის დროს კოსმონავტებმა ილაპარაკეს ფრენის დროს წარმოებული ასტროფიზიკური კვლევის მიზნებსა და ამოცანებზე, ტელევაყურებლებს გააცნეს „ორიონ-2“-ის აპარატურა.

22 დეკემბრს დილით კოსმონავტებმა გაიღვიძეს, ისაუზმეს, ჩაატარეს სამედიცინო კონტროლი და 8 საათზე შეუდგნენ მუშაობას. დღისით ეკიპაჟი შესრულებს დღეისათვის გათვალისწინებულ სამეცნიერო ექსპერიმენტებს. 21 საათსა და 15 წუთზე მოხკვეს დრონთ ხომალდი გაცდება საბჭოთა კავშირის ტერიტორიიდან რადიოხილვადობის ზონას.

ამხანაგები პეტრე კლიმუკი და ვალენტინ ლებედევი თავს კარგად გრძნობენ. „სოიუზ-13“ კოსმოსური ხომალდის საბორტო სისტემები ნორმალურად მუშაობენ. ფრენა გრძელდება.

ერევანი, 22 დეკემბერი. (საკადრი). დღეს თბილისიდან ერევანში ჩამოვიდა სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დელეგაცია სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის თავმჯდომარის, სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობის საკონსულტაციო საბჭოს თავმჯდომარის დოქტორ ნგუენ ჰიუ თხოს მეთაურობით.

სტუმრებს მიესალმნენ სომხეთის დედაქალაქის მშრომელთა წარმომადგენლები.

# ზეგად ერევანში

სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დელეგაცია სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის თავმჯდომარის, სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობის საკონსულტაციო საბჭოს თავმჯდომარის დოქტორ ნგუენ ჰიუ თხოს მეთაურობით, საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ვ. ვ. სირაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ა. კვაჭაძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელმწიფოებრივთან ურთიერთობის განყოფილების გამგე ნ. ი. კიკვაძე, რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე თ. ნ. გორდელაძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დელეგაციას, რომელსაც დოქტორი ნგუენ ჰიუ თხო მეთაურობს, გაუმარჯოს ვახშამი.

სხვა ვიეტნამელ სტუმრებთან ერთად ვახშამზე იყო სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრი ნგუენ ბინი ბინი.

ვახშამზე იყვნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ნ. ნ. არუთინიანი, სომხეთის სსრ საგარეო საქმეთა მინისტრი კ. ბ. უდუმიანი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს „განყოფილების გამგე ს. ს. ნემჩინა, რომლებიც ამ სურათზე ერევანში ჩამოსულ სტუმრებს ესაუბრებიან.



## ერთი თვით ადრე

ბათუმი. (იხ. კორ.). ხისდამამუშავებელმა ქარხანამ თავი დააღწია ჩამორჩენას: წელს სწორამო გამართოლად მუშაობს და წლიური დავალება 26 ნოემბრისათვის შეასრულა.

ხისდამამუშავებლებმა ახალი დავალებითა ვალდებულება იკისრეს — მათ გადაწყვიტეს დეკემბერშიც არ შეანელონ შრომის ტემპი და წლიური გეგმის გადამეტებით გამოუშვან 50 ათას მანეთისაზე მეტი ღირებულების პროდუქცია. ამ დაპირებას ისინი არც ღალატობენ.

## იზარდე ვაზო!

□

## ახალშენი ვენახები

სიღნაღი. („კომუნისტის“ კორ.). რაიონის პარტიული და სამეურნეო ორგანოები ამ ბოლო დროს დიდ ყურადღებას აქცევენ მეკენახეობის შემდგომი განვითარების საკითხს. ამ დღეებში რაიონში მოეწყო მრავალწლიანი ნარგავების დათვალიერება. ყურადღების ცენტრში იყო ვენახები. მოსავლიანობის გადიდების გზებისა და საშუალებების გამოძებნისათვის, ახალი რეზერვების ამოქმედებისათვის დაისახა მთელი რიგი ღონისძიებანი.

ზერეზში დაიწყო ბრძოლა სიმერხის სალიკვიდაციოდ. ტიბაანელებმა გამორეკეს 18.300 ძირი და გადაყვინეს 6.400 ძირი ვაზი, ვაჯისელებმა გამორეკეს 22 ათასი ძირი და გადაყვინეს 12.000 ძირი.

დიდი ყურადღება ექცევა ახალი ვენახების გაშენებას. გადაწყვეტილია ხუთწლედის ბოლოსათვის რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში ვენახების ფართობი 4.000 ჰექტარამდე გაადიდონ. ახალი ვენახების დიდ ფართობზე გაშენების ინიციატორად რაიონში ბოდბისხევის ე. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობა გამოვიდა. ბოდბისხევლებმა ახალი ვენახის გაშენების გეგმა გადამეტებით შეასრულეს. გაშენებულია 55 ჰექტარი ვენახი, წლის ბოლომდე ახალშენი ვენახის ფართობი 80 ჰექტარს მიაღწევს. ახალი ვენახების გაშენების გეგმა გადამეტებით შეასრულეს ტიბაანის, ჯუგაანის, ქვემო მაჩხანის და სხვა კოლმეურნეობებმა. სულ რაიონში ნაცვლად 299 ჰექტარისა ახალი ვენახები გაშენებულია 380 ჰექტარზე.

□

## სამი მილიონი ნერგი

ახმეტა. („კომუნისტის“ კორ.). ახმეტის სანერგე მეურნეობა, რომელსაც სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი თ. შამშიაშვილი ხელმძღვანელობს, გურჯაანელ მევენახეთა თაოსნობის საპასუხოდ ჩაება სოციალისტურ შეჯიბრებაში და ახალი გადიდებული ვალდებულება იკისრა. მეურნეობამ მომდინარე წელს 2,5 მილიონის ნაცვლად დაამყნო 2,7 მილიონი ვაზი. აგროწესების დაცვით მოვლა-პატრონობამ კარგი ნაყოფი გამოიღო. ნამყნების გახარებისა და ნარგავების შენარჩუნების პროცენტმა 60-ს გადაამტა. მეურნეობამ ვალდებულება იკისრა მომავალ წელს 3 მილიონი ვაზი დამყნოს. მოიმატებს გახარების პროცენტიც.

ახმეტის რაიონის მევენახეებმა წელს ახალი ვენახების გაშენების გეგმაც გადამეტებით შეასრულეს. ნაცვლად 497 ჰექტარისა ახალი ვენახი გაშენებულია 511 ჰექტარზე. ოყალის საბჭოთა მეურნეობამ ახალი ვენახები 134 ჰექტარზე გააშენა, ქისტაურისამ — 125 ჰექტარზე, მაჭესამ — 50 ჰექტარზე, ვენახების გაშენების გეგმა გადამეტებით შეასრულეს ამბრეტის, პანკისის ბაღრაანის, ზემო და ქვემო ალვანის საბჭოთა მეურნეობებმა. ახმეტის რაიონის მევენახეები მომავალ წელს უფრო მეტ ფართობზე გააშენებენ ახალ ვენახებს.

**თბილისის** მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომი ილუსტრირებს, რომ 1973 წ

# პარტიული ცხოვრება

## თუ სათქმელს ბოლომდე არ იტყვი

### ოჩამჩირის რაიონულ პარტიულ კონფერენციაზე

როგორც თავიანთი ცხოვრების ერთ-ერთ დიდ მნიშვნელოვან მოვლენას, ისე შეხვდნენ ოჩამჩირელი კომუნისტები რაიონულ პარტიულ კონფერენციას.

საანგარიშო მოხსენებაში, რომლითაც საქართველოს კომპარტიის ოჩამჩირის რაიკომის პირველი მდივანი ბ. ადლეიბა გამოვიდა, და კამათის მონაწილეთა დელეგატთა გამოსვლებში, თავიხა ასახვა ჰპოვა პირველადი პარტორგანიზაციების საქმიანობის, რაიონში პარტიული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის საკითხებმა.

კონფერენციის მონაწილეებმა სწორად ბაასი გამართეს არა მარტო ეკონომიკაში მიღწეულ შედეგებზე, არამედ იმ ნაკლოვანებებზეც, რომლებიც ჯერ კიდევ ცოტა როდია პარტიის რაიონული კომიტეტისა და პირველადი პარტორგანიზაციების მუშაობაში.

ეს უწინარეს ყოვლისა ეხება შრომის, პარტიული და სახელმწიფოო დისციპლინის განმტკიცების, კადრების პასუხისმგებლობის საკითხებს.

მეცხრე ხუთწლედის დაბალებული დონეზე ვითარდება სახალხო მეურნეობის წამყვანი დარგები. რაიონის მრეწველობამ გეგმის გადამეტებით გამოუშვა 2 მილიონ 200 ათასი მანეთის პროდუქცია. მშენებლებმა საეკლესიატაციოდ გადასცეს სახალხო მეურნეობის 107 ობიექტი.

ამ ხუთწლედში წინა ხუთწლედზე გაცილებით ჩქარი ტემპით ვითარდება სოფლის მეურნეობა. სამ წელიწადში სახელმწიფოს მიეყიდა 53.625 ტონა ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი. მოსავლიანობა საშუალოდ ჰექტარზე 4.780 კილოგრამს შეადგენს. მიათამაშეებმა ორ წელიწადში საშობლოს მისცეს 2369 ტონა ბრამატული „სასუნი“. მატულობს ბრეშუმის პარკის, ტუნგის ნაყოფის, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება და სახელმწიფოსათვის მიყიდვა.

მაგრამ მიღწევები გაცილებით მეტი იქნებოდა, რომ 147 პირველადი პარტიული ორგანიზაცია, ეოველი კომუნისტი, პარტიის წამყვან დარგებში — მეჩაიეობასა და მეთამბაქოობაში ცოტა როდი კეთდება კერძოდ მოსავლიანობის გადიდებისათვის. მაგრამ არც მომხსენებელმა და არც კამათის მონაწილეებმა საჭიროდ არ ჩათვალეს ეთქვათ, თუ როგორ მიმდინარეობს ბრძოლა პლანტაციებში ჩაისა და თამბაქოს ნედლეულის ხარისხის გაუმჯობესებისათვის. ხოლო იმის გამო, რომ ძალიან მცირეა მაღალი ხარისხის თამბაქოს წარმოება, მნიშვნელოვნად მცირდება კოლმეურნეობათა ფულადი შემოსავალიც.

პარტიის რაიონულმა კომიტეტმა ადგილობრივ ინტერესებზე მაღლა აყენებენ. ადგილი აქვს გაფლანგვა-დაკარგვებს, ზომა-წონაში მოტყუების ფაქტებს.

ყველაფერი როდი კეთდება იმისათვის, რომ გაუმჯობესდეს და სათანადო სიმაღლეზე იქნას აყვანილი მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურება. ყველამ იცის, რომ მხოლოდ ოჩამჩირეში დაახლოებით 350 კაცი ხელს ითბობს სხვადასხვა სახის კერძო მომსახურებით.

საინტერესოა, რას ფიქრობენ ამაზე აღმასრულებელი კომიტეტის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს მუშაკები? — აყენებდნენ კითხვას კონფერენციის მონაწილენი.

არც მიწათსარგებლობის საკითხებშია დამყარებული სათანადო წესრიგი. ისეთი დარღვევები, რომლებიც ზღვისპირა სამკილომეტრიან ზონაში მდებარე სოფლებში გამოვლინდა. მხოლოდ რაიკომისა და რაიაღმასკომის მუშაკთა წყარუებით უნდა აიხსნას.

პარტიული და სახელმწიფოებრივი დისციპლინის სისუსტეზე მეთითეებს ბგრეთვე ის ფაქტიც, რომ რაიონის ოთხი საწარმო სამარცხვინოდ ჩამორჩება სახელმწიფო გეგმების შესრულებაში.

ვფიქრობთ, კონფერენციის ნაკლია, რომ სიტყვით გამოსული დელეგატები, ლაპარაკობდნენ რა წარმატებებზე, თითქოს არაფერს ამბობდნენ ამაზე, თუ რას აპირებენ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის, პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის შემდგომი განმტკიცებისათვის. ალბათ ამიტომაც მიღებულ რეზოლუციაში გამოკვეთილად არ არის ასახული პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის შემდგომი განმტკიცების კონკრეტული ღონისძიებები.

კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი ა. საყვარელიძე.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა ბგრეთვე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციი ულ ი განყოფილების გამგის მოადგილე ვ. ნინოძა.

**ი. გოგეჩია,**
„კომუნისტის“ საკ. კორ.

# ენერგეტიკოსთა დღესასწაული

ჯაჭვი მძლავრი ელექტროსადგურები — სურგუთის, რიაზანის, ზაპოროჟიეს, სირდარიის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურები, ნურეკის ჰიდროელექტროსადგური, კოლის ატომური ელექტროსადგური, კამის სატვირთო ავტომობილების საწარმოო კომპლექსების კორპუსები, ასობით კილომეტრი ელექტროგადაცემის ხაზები — ასეთია ხუთწლედის სამი წლის მანძილზე საბჭოთა ენერგეტიკოსების სახელოვანი შრომითი საქმეების არასრული სია. დაჩქარებული ტემპით ვითარდება სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანესი დარგი, რომელიც განსაზღვრავს მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს.

ხუთწლედის მესამე წლის შეჯიბრების ფართო გაქანებაზე, 1974 წელს ენერგეტიკოსთა წინაშე დასახულ ამოცანებზე ილაპარაკა სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის მინისტრმა პ. ს. ნეპოროჟნიმ ენერგეტიკოსის დღისადმი მიძღვნილ საზეიმო საღამოზე, რომელიც მოსკოვში გაიმართა 21 დეკემბერს.

საღამოს მონაწილეებმა დიდი აღმავლობით აირჩიეს საპატიო პრეზიდიუმში ხკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო.

საღამოს მონაწილეებმა მიიღეს მოსასალმებელი წერილი ხკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსადმი. (საკუთარი კორ.).

## „კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

# როდესაც სიტყვას საქმე არ მოსდევს

### რედაქციას უპასუხებს საქართველოს სსრ საკოფლო მშენებლობის საკმინისტრო

**დუშეთის** რაიონის ბარისახოს საავადმყოფოს რეკონსტრუქციისა და კულტურის სახლის მშენებლობის ნაკლოვანებებს ეხებოდა კრიტიკული წერილი — „როდესაც სიტყვას საქმე არ მოსდევს“. ამ წერილის გამო საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტრო გვატყობინებს:

თქვენი გაზეთის 30 ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნებულ წერილში „როდესაც სიტყვას საქმე არ მოსდევს“ კრიტიკებული იყო სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 1 ტრესტის № 14 მოძრავი მექანიზებული კოლონა დუშეთის რაიონის ბარისახოს საუბნო საავადმყოფოს რეკონსტრუქციის და კულტურის სახლის მშენებლობის გეგმების ჩაშლისათვის.

წერილში მოყვანილი ფაქტები **სინამდვილეს შეესაბამება.** სამინისტროს კოლეგიამ ამსჯელა აღნიშნულ საკითხზე და მიიღო სათანადო გადაწყვეტილება. გაცემულია ბრძანება, რომლითაც № 1 ტრესტის ხელმძღვანელობას სასწრაფოდ დაეკვალა გაშალოს სამუშაოები გამოყოფილი თანხების მაქსიმალურად ათვისებისათვის.

№ 14 მოძრავი მექანიზებული კოლონის ყოფილი უფროსი ა. ახნაზაროვი სამუშაოთა გეგმების ჩაშლისათვის და ფინანსური დისციპლინის დარღვევისათვის მოხსნილია თანამდებობიდან.

